საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაქარწმინდა

ზაქარწმინდა, ისტორიული სოფელი მესხეთში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის” მიხედვით, ზ. ჩრდილის (ჩილდირის) ლივის ჯანბაზის ნაჰიეში, პალაკაციოს ტბის ჩრდ.-დას. სანაპიროზე მდებარეობდა და სოფ. აღჯაყალის (ქართ. „თეთრი ციხე”) შემდეგ მე-18 სოფლად არის აღწერილი. ზ-ს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. სოფელში ცხოვრობდა 7 კომლი: შაქარა, მანველი, ივანე, ზაქარა, გიორგი, ვათენა და გოგიჩა. სოფლის მცხოვრებთ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელი. მისდევდნენ მეფუტკრეობას, მებოსტნეობას. მოშენებული ჰყავდათ ღორები და ცხვრები.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას *გამოც.*, წგ. 2, თბ., 1941.

ზ. ცინცაძე